ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1640943

ნომერი: AR1271931

თარიღი : 09.12.2014

გაცემის თარიღი : 15.12.2014

გაცნობის თარიღი : 15.12.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქ.სამხედრო გზაზე სასტ."უშბა"-ს მოპირდაპირედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ებრალიძე პ/ნ 01019015988
- გლდანი ნაძალადევი, ცინცაძის II შეს. #5

ორგანიზაცია:

- ბიჯი ჯგუფი კოდი: 200268021

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ: ამავე მიწის ნაკვეთზე 2008 წლის 05 ნოემბერს #01/1570 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი სავაჭრო–გასართობ და საზ. კვების ობიექტზე, ხოლო 2008 წლის 05 დეკემბერს გაიცა #ნ/1832 მშენებლობის ნებართვა და #ნ/1832-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა. ვინაიდან ამჟამად ითხოვთ დამხმარე შენობა/ნაგებობის მშენებლობას და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დგინდება თუ სად ხდება მისი განთავსება, შესაბამისად არ იძლევა მთლიანი აღქმის და მის საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ #01/1570 ბრძანებით შეთანხმებული გენგეგმა, სადაც დატანილი იქნება საპროექტო დამხმარე შენობა/ნაგებობა ყველა გაბარიტული ზომის მითითებით, რომელიც შეგიძლიათ ატვირთოთ "ფაილის მიმაგრების" ველში.

გარდა ამისა, მოთხოვნის ტექსტში უფრო ვრცლად დააკონკრეტეთ რა სახის და რისი დამხმარე შენობა/ნაგებობა უნდა განთავსდეს ტერიტორიაზე.

ასევე, დამატებით წარმოადგინეთ დავით აღმაშენებლის ხეივნიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ფოტო და მასზე დამუშავებული ფოტომონტაჟი ყველა ზომის მითითებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.